ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3874451

ნომერი: AR1583361

თარიღი : 12.03.2018

გაცემის თარიღი : 20.03.2018

გაცნობის თარიღი : 20.03.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , N14 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , N 14-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მაია პაპალაშვილი პ/ნ 01011026156
- ქ. თბილისი, გუთნის ქ. #20

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. "პრესტიჟი" კოდი: 205038252

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:

1. ვინაიდან სარეკლამო აბრა ეწყობა ზედა ფართის ფასადზე, საჭიროა წარმოადგინოთ მესაკუთრისა და შესაბამისი ფართის მოიჯარის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა.

2. წარმაოდგინეთ საკადასტრო გეგმა სარეკლამო აბრის განტავსების ადგილი მონიშვნით.

3. „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე-18 მუხლის, მე-10 პუნქტის თანახმად განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა ფოტომონტაჟზე წარმოსახვითი ხაზით მონიშნოთ თქვენს საკუთრებაში არსებული სარეკონსტრუქციო ფასადი, მიუთითოთ სარეკონსტრუქციო ფასადის გაბარიტული ზომები, დაიანგარიშოთ სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დაიტანოთ ფოტომონტაჟზე.

4. მოთხოვნის ტექსტში განმარტეთ ინფორმაცია #2234793 გადაწყვეტილებით დადასტურებულ აბრასთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული აბრის მოწყობის სამშაოები არ განხორციელებულა, საჭიროა მოთხოვნის ტექსტით მოითხოვოთ წინამდებარე გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადება.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.